ნაშრომი ეძღვნება მთარგმნელობისა და საზოგადო მოღვაწის,
ბიბლიოგრათვის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
იშვიათ გამოკემათა საკავის დამაარსებლის,
საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლის,
ვიქტორ ბროსეს
ნათელ ხსოვნას.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველნაბეჭდი ქართული წიგნები

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
კოლექციის აღწერილობა

ტომი I

საქართველოში დაბეჭდილი წიგნები
1709–1818

თბილისი
2010

UDC: 017.1: 655. 11 (479. 22)

ეროვნული ბიბლიოთეკის ძველნაბეჭდი ქართული გამოცემების კოლექციის აღწერილობა ორ ტომად მომზადდა.

პირველ ტომში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აისახა 1709-1818 წლებში საქართველოში მოქმედი ქართული სტამბების გამოცემები. წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან: ვახტანგ მეექვსის, ერეკლე მეორისა და იმერეთის სტამბათა გამოცემები. მეორე ტომში შევა 1629-1800 წლებში საქართველოს გარეთ დაბეჭდილი ქართული წიგნები.

ამ ნაშრომში გამოვლენილია გამოცემათა ვარიანტულობა; სრულადაა წარმოდგენილი წინასიტყვაობა-ბოლოსიტყვაობები, მესტამბეთა ანდერძები და შენიშვნები, მკითხველებისადმი მიმართვის ტექსტები; გახსნილია სარჩევი – ნაკრები ფურცლებისა და ძირითადი ტექსტის შედგენილობა; აღნუსხულია ჩართული გრავიურები; მითითებულია: შრიფტის სიმაღლე; ანაწყობის მოცულობა, ერთ გვერდზე განთავსებული სტრიქონების რაოდენობა, რვეულების აღრიცხვის მაჩვენებლი, დანომრაში დაშვებული შეცდომები და სხვა ელემენტები, რომელთა გათვალისწინებაც აადვილებს უთავფურცლო თუ თავბოლონაკლული ეგზემპლარების ამოცნობა-აღწერას, რაც ხელს შეუწყობს ძველნაბეჭდი ქართული წიგნის, როგორც ეროვნული საგანძურის ერთიანი ფონდის, აღრიცხვას.

აქვეა აღწერილი დასახელებულ გამოცემათა ბიბლიოთეკისეული ეგზემპლარის მდგომარეობა; მათი მნიშვნელოვანი დანართ-ჩანართები, ავტოგრაფები, საგულისხმო მინაწერები და ხელით აღდგენილი ფურცლები.

ვიმედოვნებთ, წიგნი სამსახურს გაუწევს ძველი ქართული გამოცემებით დაკომპლექტებული ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების თანამშრომლებს, ერის წიგნადი საგანძურის გაცნობის ყოველ მსურველს.

შემდგენლები: დალი მაჩაიძე
მანანა სამაშვილი

რედაქტორები: მიხეილ ქავთარია
ფერიდე კვაჭანტირაძე

პირველ ტომის მომზადებაში მონაწილეობდნენ: ანა ჯაჯანიძე
გიორგი თეთრუაშვილი

ISBN 978-9941-0-2731-4 (ორიევე ტომი)
ISBN 978-9941-0-2732-1 (პირველი ტომი)

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ნაწილი I. ვახტანგ VI-ის სტამბის გამოცემები 5

წინასიტყვაობა 7
1.სახარება, 1709. 13
2. დავითნი, 1709. 25
3. სამოციქულო, 1709. 27
4. კონდაკი, 1710. 35
5. ლოცვანი, 1710. 55
6. ჟამნი, 1710. 61
7. გერმანე მღვდელ-მონაზონი. სწავლა ... 1711. 71
8. დავითნი, 1711. 77
9. დავითნი, 1712. 89
10. [შოთა რუსთაველი]. ვეფხისტყაოსანი, 1712. 93
11. კურთხევანი, 1713. 105
12. ჟამნი, 1717. 113
13. პარაკლიტონი, 1720. 121
14. ქმნულების ცოდნის წიგნი. აიათი, 1721. 129
15. ბიბლია, [1709-1710]. 135

ნაწილი II. ერეკლე II-ის სტამბის გამოცემები 139

წინასიტყვაობა 141
1. დავითნი, 1749. 147
2. ანტონ I. ქადაგება... 1751 151
3. კონდაკი, 1751. 153
4. ურთხევანი, 1764. 161
5. პარაკლიტიკოსი, 1772. 169
6. ოჰანესიანი. პოლოს. შესხმა ... 1782 183
7. კონდაკი, 1783. 185
8. კიტაიის სიბრძნე ანუ 1784. 199
9. კურთხევანი, 1784. 203
10. ლოცვანი, 1784. 211
11. სახარება, 1786. 217
12. ზატიკი, 1788. 225
13. კუწრექსი ძლევისათჳს ... 1788. 235
14. დავითნი, [1783-1788]. 237
15. დავითნი, 1790. 241
16. დაუჯდომელი, 1790. 245

17. ჟამნი, 1791. 251
18. სამოციქულო, 1791. 257
19. სახარება, 1791. 267
20. კონდაკი, 1793. 275
21. მარხვანი, 1793. 281
22. მცირე ლოცვანი, 1793. 297
23. კურთხევანი, 1794. 303
24. დაუჯდომელი, 1800. 309
25. დავით ბაგრატიონი. ნარკუწვი, 1800. 313

ნაწილი III. იმერეთის სტამბათა გამოცემები 315

წინასიტყვაობა 317
1. დავითნი. ქუთაისი, 1800. 325
2. სახარება ვნების კვირიაკისა. ქუთაისი, 1803. 331
3. კურთხევანი. ქუთაისი, 1803. 339
4. დავითნი. ქუთაისი, 1807. 347
5. ჟამნი. ქუთაისი, 1808. 353
6. სავედრებელი ღვთისმშობლისა. წესი, 1809. 361
7. ლოცვანი. ქუთაისი, 1810. 365
8. გამოკრებილი სადღესასწაულო. წესი, 1811. 379
9. სამოციქულო. საჩხერე, 1815. 385
10. სახარება. საჩხერე, 1817. 395
11. სახარება მატთესი [საჩხერე, 1818]. 401

სახელთა საძიებელი 403

დანართი I 423

დანართი II 451

დანართი III 469

ნაწილი I

ვახტანგ VI-ის სტამბის გამოცემები

ტფილისი

1709-1721

წინასიტყვაობა

სამი საუკუნის წინ თბილისში ამოქმედდა ევროპულად გამართული ქართული სტამბა, პირველი – საქართველოსა და მთელს კავკასიაში. ეს მოხდა ქართლის განმგებლის, შემდგომში მეფე ვახტანგ VI-ის „შრომითა ფრიადითა“. აქ დაიბეჭდა იმდროინდელი საგამომცემლო მიღწევებისა და ქვეყნის მოთხოვნების შესაბამისი წიგნები, უმეტესად სასულიერო შინაარსის, ასევე სასწავლო და სამეცნიერო. აქვე განხორციელდა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემა.

ვახტანგ VI-ის სტამბამ იარსება ხანმოკლე პერიოდით (1709-1722 წწ.). ჩვენამდე მოღწეული და აღნუსხულია მისი 20 გამოცემა. ისინი საუკეთესონი არიან ძველნაბეჭდ ქართულ წიგნთა შორის: განსაკუთრებულია ვლახეთიდან მოწვეული ოსტატის – მიხაილ იშტვანოვიჩის ნამოღვაწარი (1709-1711 წწ.). პირველი ქართული სტამბის გამოცემათა გამორჩეულობას განაპირობებს ხარისხიანი ქაღალდი; ტექსტის განლაგების მაღალმხატვრულობა; სხვადასხვა ზომის, მშვენიერი და ადვილად საკითხავი ნუსხური თუ მხედრული შრიფტები; ორნამენტული საზენაო ასოები; ჩართული გრავიურები, თავსართ-ბოლოსართები, უხვი და კომპოზიციურად მრავალგვარი ტექსტის გამყოფები და ჩარჩოები.

ვახტანგისეული სტამბის გამოცემების შემორჩენილ ეგზემპლართა რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ შედარებით მეტი გამოსულა „უპირველეს ყოველთა“ დაბეჭდილი „სახარება“ – ქრისტიანთა უმთავრესი წიგნი, ასევე საღვთისმსახურო „კონდაკი“. ეკლესიის საჭიროებათა გათვალისწინებით, რამდენჯერმე მოუხდათ „ლოცვანის“, „ქამნისა“ და „დავითნის“ დაბეჭდვა.

დიდი ხანია, ბიბლიოგრაფიულ ოშვიათობად იქცა ძველნაბეჭდი ქართული გამოცემების უმრავლესობა, მათ შორის ვახტანგის სტამბის საუცხოო ნამუშაკევიც. უფრო მეტ ძველ ქართულ წიგნს შეიწირავდა ისტორიული ძნელბედობა და ჟამთა სვლის დაუნდობლობა, რომ არა XIX საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და „თბილისის საეკლესიო მუზეუმი“, ასევე XX საუკუნის დასაწყისში დაფუძნებული „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“. მათ მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთეს მამულისათვის. მათვე მოიძიეს ქართული გამოცემები, შეაგროვეს და დაიცვეს ისინი თავიანთ წიგნსაცავებში; აღრიცხეს და გამოაქვეყნეს ამ ფონდების მოკლე აღწერილობანი. 1905 და 1911 წლებში გამოცემული კატალოგებით დავით კარიჭაშვილმა გააცნო საზოგადოებას „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ყველაზე მრავალრიცხოვანი ფონდი. გასული საუკუნის 30-იან წლებში საჯარო ბიბლიოთეკაში შეადგინეს თბილისის ბიბლიოთეკათა ქართული წიგნების შეერთებული

კატალოგი; სახელმწიფო მუზეუმში კი სიების სახით აღრიცხეს ძველი ქართული წიგნები. ამ ფონზე გაჩნდა იდეა სრული ბიბლიოგრაფიის შედგენისაც. ეს ფასდაუდებელი საქმე აღსრულდა „წიგნის პალატის“ თაოსნობით. ბიბლიოგრაფიის შემდგენლებმა საფუძვლად მიიჩნიეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკის ფონდი. ბაზა შეაჯერეს და შეავსეს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის 18 მნიშვნელოვან ბიბლიოთეკაში მოპოვებული მონაცემებით. ამ სამუშაოს შედეგად, 1941 წელს გამოვიდა „ქართული წიგნი“. ტომი I. ბიბლიოგრაფიაში შედარებით ვრცლადაა აღწერილი ძველნაბეჭდი, იშვიათი წიგნები, და რა თქმა უნდა, ვახტანგის სტამბის გამოცემებიც.

იმჟამად ვერ უნახავთ და დღემდე მიუკვლეველად რჩება წიგნმცოდნეობით წყაროებში დასახელებული 1709, 1710 თუ 1712 წლის „დაუჯდომელი“, „ლოცვანი ანბანითურთ“ და „კვერექსი“. სამაგიეროდ, პირველად აღმოაჩინეს და აღწერეს ვახტანგის სტამბის შემდეგი გამოცემები: 1. ნუსხური „დავითნი“, ძალზე დაზიანებული, უთავფურცლო და იმ დროისათვის ერთადერთი ეგზემპლარი, გამოვლენილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წიგნი მიიჩნიეს 1709 წლის გამოცემად; 2. 385 გვერდიანი მხედრული წიგნი, ხარვეზიანი, უთავფურცლო, საწყის, მე-3 გვერდზე დაფიქსირებული თარიღით – 1710 წელი. ბიბლიოგრაფიაში აღწერილია მე-10 ნომრად, მიჩნეულია „ჟამნად“. (აქ ერთგვარი გაუგებრობაა: 1710 წლის ნუსხური „ჟამნი“ – № 11, თავფურცლის თანახმად, პირველი გამოცემაა. ამიტომ აღნიშნული მხედრული წიგნი, თუ ის მართებულადაა სახელდებული, მეორე გამოცემა უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავფურცლისავე მონაცემით 1717 წლის ნუსხური „ჟამნი“ არის „აწ მეორედ დაბეჭდილი“). 3. 1716 წლის „დავითნი“ – იმ დროისათვის ერთადერთი მოძიებული ცალი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში.

არსებობდა ინფორმაცია ვახტანგის სტამბაში ბიბლიის დაბეჭდვის მცდელობის შესახებაც (1709-1722 წწ.). „ქართული წიგნის“ შემდგენლებმა პირველად აღწერეს ეს უთავფურცლო, აკეფალური და დაუმთავრებელი გამოცემა – „წიგნი წინასწარმეტყველთა და სახარება“.

პირველი ცდა ამ სტამბის მშვენიერი ნამუშაკევის კვლევისა არის 1952 წელს გამოცემული შ. კვასხვაძის „ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება. ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნი“. ნაშრომში განხილულია გამოცემების მხატვრულ-პოლიგრაფიული სახე და წიგნთა კაზმულობის თავისებურებანი. 1955 წელს გამოიცა ქრისტინე შარაშიძის უაღრესად მნიშვნელოვანი მონოგრაფია: „პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722)“. ქართული წიგნბეჭდვის ზოგადი ისტორიისა და საქართველოს იმდროინდელი ვითარების ფონზე, აქ საფუძვლიანადაა გაშუქებული ამ სტამბის დაარსება, დეტალურადაა აღწერილი და მიმოხილული მისი გამოცემებიც. არაერთი სხვა საყურადღებო ნარკვევი გამოქვეყნდა გასულ საუკუნეშივე, ვახტანგის სტამბის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით. ამის გამო, პირველი სტამბის გამოცემები

თითქოს ნაკლებად საჭიროებდნენ კვლევას, მაგრამ ეროვნული ბიბლიოთეკის ეგზემპლართა საფუძველზე წარმოჩინდა როგორც არსებულ აღწერილობათა ცალკეული უზუსტობანი, ისე ზოგი გამოცემის უცნობი ვარიანტი. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევენ და წარმოჩენას ითხოვენ: გამორჩეულად ძვირფასი ყდები; უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის შემცველი მინაწერები; უიშვიათეს ბეჭდურ გამოცემათა თუ საუცხოო ხელნაწერთა დანართ-ჩანართები; ისტორიულ პიროვნებათა ავტოგრაფიანი წიგნები. ისინი ცხადყოფენ, რომ წიგნადი საგანძურის წარმოსაჩენად, ყოველი გაღარჩენილი ეგზემპლარის აღწერა, შესწავლა და გამომზეურება ისევე აუცილებელი და საშური საქმეა, როგორც თვით გამოცემების მოძიება-აღნუსხვა და შეერთებული კატალოგის შექმნა; თვალსაჩინო ხდება, რომ ძველნაბეჭდი წიგნები ეროვნული კულტურის უნიკალურ ძეგლებს წარმოადგენენ და მუდმივად საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებასა და დაცვას.

ვახტანგის სტამბის გამოცემათა იშვიათობის აშკარა დასტურია ისიც, რომ ბიბლიოგრაფიასა და ქრ. შარაშიძის მონოგრაფიაში აღწერილი 20 გამოცემიდან ხუთი ქვეყნის უმღიდრეს წიგნსაცავს – ეროვნულ ბიბლიოთეკასაც არ გააჩნია. ეს გამოცემებია: 1. 1710 წლის „ჟამნად“ მიჩნეული მხედრული 385 გვერდიანი წიგნი; 2. „დავითნი“ 1716 წლის; 3. „ლოცვანი“ 1717 წლის; 4. „კურთხევა ეკლესიისა“ 1719-1720 წწ. და 5. „ჟამნი“ 1722 წლის. ბიბლიოგრაფიის 1 ტომის გამოცემიდან დღემდე, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ბიბლიოთეკას მხოლოდ 1709 წლის უიშვიათესი „დავითნი“ შეემატა, ისიც 1985 წელს. ეს წიგნი უფრო დეფექტურია, ვიდრე ბიბლიოგრაფიაში აღწერილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნსაცავში აღმოჩენილი ცალი. წარმოდგენილ ნაშრომში აღწერილია დანარჩენი 15 გამოცემის 74 ეგზემპლარი. აქედან 7 ერთეული ეკუთვნოდა ყოფილ „წიგნის პალატას“, 42 „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომლის წვლილიც განუზომელი იყო ქართული წიგნის, ქართული კულტურის ამ ძვირფასი განძის გადარჩენაში. აღნიშნული საზოგადოების გაუქმების შემდეგ (1927 წ.), მისი წიგნსაცავ-მუზეუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცეს, 1937 წლიდან კი წიგნადი ფონდი ეროვნულ ბიბლიოთეკას მიაკუთვნეს. აქ ისინი გადანაწილდა სხვადასხვა საცავში. ჯერკიდევ 1941წლიდან თამარ მაჭავარიანმა დაიწყო ამ ფონდიდან ილია ჭავჭავაძის პირადი ეგზემპლარების მოძიება და ამოკრება, გამოსცა კატალოგიც, რომლის მეორე, შევსებული გამოცემა, ქართველოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა განახორციელეს 1987 წელს. საქმე საბოლოოდ დასრულდა ამჟამად საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორის, ლევან თაქთაქიშვილის ხელმძღვანელობით. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნადი ფონდის ისტორიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, მანვე განიზრახა და დაასაბუთა მისი ეგზემპლარების თავმოყრის აუცილებლობა. ეროვნული ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნთა მონაცემებზე დაკვირვების შედეგად, თაქთაქიშვილის მიერ შემუშავებული

მეთოდით, ამოკრებილ წიგნებს მიეცათ აღდგენილი ნომრები. მათი ძირითადი ნაწილი ბიბლიოთეკის საარქივო ფონდში განთავსდა, იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში კი ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ბაქრაძისა და დავით ჩუბინაშვილის პირადი კოლექციებია.

დავით ჩუბინაშვილისეული წიგნები ძველნაბეჭდი ქართული გამოცემების საუკეთესო ფონდს წარმოადგენს. იგი მოიცავს მრავალმხრივ გამორჩეულ ეგზემპლარებს ლექსიკოგრაფ ნიკო ჩუბინაშვილისა და ქართული სამეფო კარის წევრთა ბიბლიოთეკებიდან. აქ ნახავთ: ვახტანგის სტამბის პირველნაბეჭდ „სახარებას“, 1710 წლის უიშვიათეს „ლოცვანს“; 1710 და 1717 წლის „ჟამნებს“; 1721 წლის „ქმნულების ცოდნის წიგნს“ – თარგმნილსა და გამოცემულს ვახტანგ მეფის მიერ. ამ კოლექციას ამშვენებს: „წიგნი წინასწარმეტყველთა და სახარება“ – ეროვნული ბიბლიოთეკის ერთადერთი ცალი, სულ აღრიცხული 3 ეგზემპლარიდან; 1712 წლის „ვეფხისტყაოსანი“, დავით რექტორის (ალექსი-მესხიშვილის) ავტოგრაფით. მინაწერი სტროფების მნიშვნელობით; მშვენიერი კალიგრაფიით შევსებული ტექსტითა და აღდგენილი გაფორმებით ეს წიგნი საუკეთესოა ბიბლიოთეკის 5 ცალს შორის. ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში ვახტანგის სტამბის წიგნთაგან გამოირჩევა 1713 წლის „კურთხევანი“ – ნაკრები ფურცლების აგება და შედგენილობა აქ არსებითად განსხვავებულია ლიტერატურაში ცნობილი აღწერილობისაგან.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში არ არის:

N	გამოცემის დასახელება	გამოცემის ადგილი	გამოცემის წელი	გამოცემის შრიფტი
1	ჟამნი	ტფილისი	1710	მხედრული
2	დავითნი	ტფილისი	1716	ხუცური
3	ლოცვანი	ტფილისი	1717	ხუცური
4	კურთხევა ეკლესიისა	ტფილისი	1720	ხუცური
5	ჟამნი	ტფილისი	1722	მხედრული

ეროვნულ ბიბლიოთეკაში არის:

N	გამოცემის დასახელება	გამოცემის ადგილი	გამოცემის წელი	გამოცემის შრიფტი	ცალი	სრული	ხარვ.
1	სახარება	ტფილისი	1709	ხუცური	11	3	9
2	დავითნი	ტფილისი	1709	ხუცური	1		1
3	სამოციქულო	ტფილისი	1709	ხუცური	4		4
4	კონდაკი	ტფილისი	1710	ხუცური	13	6	7
5	ლოცვანი	ტფილისი	1710	ხუცური	2		2
6	ჟამნი	ტფილისი	1710	ხუცური	5		6
7	გერმანე. სწავლა...	ტფილისი	1711	მხედრული	4	2	2
8	დავითნი	ტფილისი	1711	მხედრული	6	3	3
9	დავითნი	ტფილისი	1712		2		2
10	[შოთა რუსთაველი] ვეფხისტყაოსანი.	ტფილისი	1713	მხედრული	5		5
11	კურთხევანი	ტფილისი	1713	ხუცური	3	1	2
12	ჟამნი	ტფილისი	1717	ხუცური	7	1	6
13	პარაკლიტონი. ტფილისი	ტფილისი	1720	ხუცური	6	1	5
14	ქმნულების ცოდნის წიგნი. აიათი.	ტფილისი	1721	მხედრული	4	2	2
15	ბიბლია. წინასწარმეტყველთა და სახარება.	ტფილისი	[1709-1710]	ხუცური	1		1

დაბოლოს, როგორც ვახტანგის სტამბის მუშაკნი ითხოვდნენ: „უკეთუ იხილოთ რამე სიმრუელე და ნაკლულევანება ... ჩვენთვის ძვირს ნუ ბრახავთ, რამეთუ ვითარცა ვერვის ძალუც ცისა ხილვად, უკეთუ კნინოლენცა არა იპოვებოდეს ღრუბელი, ეგრეთვე ვერ ძალუც კაცობრივსა კელსა საქმედ, თვინიერ ცდომილებისა რასამე“.

ლალი მაჩაიძე



სახარება. ტფილისი, 1709 – თავფურცელი

სახარება. – ტფილისი. – 1709

[6], ტბ (302), [2] გვ. = [3], ა⁴-ჱ⁴, ა₂³, [1] ფ.

შრიფტი: ნუსხა-ხუცური, სიმაღლე 10 სტრ.= 72 მმ. გვერდზე 33 სტრიქონი, ტექსტის ანაწყობი (23,5X15,5) სმ.

პაგინაცია: ასოებრივი, ნუსხურით, ზედა კუთხეში, საერთოა ტექსტისა და საძიებლებისათვის, დაუნომრავია დასაწყისში [6] და ბოლოში [2] გვ. დაშვებული შეცდომები ერთნაირია ყველა ეგზემპლარში: სჲე (265)-ის ნაცვლად სოგ დაბეჭდილია (273), სობ (272) ორჯერ; სოვ (276)-ის მაგიერად სოგ (273), სოზ (277)-ის ნაცვლად სოდ (274), სჯა (291)-ის მაგიერად სჳბ (292).

სიგნატურა: ასოებრივი, რვეულთა სათვალავი მთავრულითაა, ნუსხურით – ფურცელთა. აღნუსხვა ქვემოთ, ცენტრში. გამოცემა აკინძულია 4-4 ფურცლიან რვეულებად, დანომრილია მათი მხოლოდ 1-2 ფურცლები: ა, ა ა, – –; ბ, ბ ბ – – და ა.შ.

ბეჭდვა: ერთ ფერში. თავებად და მუხლებად დაყოფილი ტექსტი განლაგებულია ორ სვეტად, აქვს ცვლადი კოლონტიტული, კუსტოდები, მარგინალიები.

ტირაჟი და ფასი: გამოცემაში მითითებული არ არის.

თავფურცელი – „სამღთო და სამღდელო სახარება. აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედა. ჟამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა საქართველოს მეფისა უფლისა, უფლისა გიორგისა, იესიან დავითიან სოლომონიანისსა. შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასეთათა მართლმადიდებლისა და განათლებულისა საქართველოს განმგებლისა, ბატონისშვილისა, თვით უფლისა ვახტანგ ლევანის ძისათა. გაიმართა წმიდაჲ ესე კელითა ნიკოლოზ მღდელ-მონაზონისა ორბელის შვილისათა. კელითა მესტამბე მიხაილ სტეფანე შვილისა, უნგროვლახელისა. ქალაქსა ტფილისისასა. ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და ცხრასა“.

ვახტანგის ანდერძი – „სადიდებელად წმიდისა სამებისა. მე, გვარტომობით, ძირმოდგმობით დავითიანმან. ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამან. ძმისწულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთა მეფისა გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსნისა ლევანისამან და განმგებელმან ქართლისამან. ბატონისშვილმან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა საკსრად სულთა წინა თქმულთა მეფეთასა და მამისა და დედისა ჩემისა; სალხინებელად სულისა ჩემისა და მეულლისა ჩემისა, ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანისა და ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად“ – წინა [2] გვ.

მესტამბის მიხაილ უნგროვლახელის მიმართვა – „ყოველთა მკითხველთა გიხაროდენ! პირველად მიზეზი უცხოსა ამის საქმისა და ძალითა მღთისათა

უცონელად შემასრულებელი სტამბისა ამის, სამკვიდრებელსა თქვენსა, იქმნა კურთხევით ჴსენებული, განათლებული და გამგებელი საქართველოსა ბატონიშვილი და თვით პატრონი ვახტანგ, ღმთისმოყვარენო და ყოვლად შვენიერნო მკვიდრნო საქართველოსანო. ხოლო ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან: ასონი, ორღანონი და ყოველნი საკმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდი, მოქმედი და წინამძღოლი მე ვარ, უნდო მონა თქვენი. უწინარეს ყოველთასა დავბეჭდეთ ესე სამღთო და სამღდელო წმიდაჲ სახარება. სიმდაბლით გევედრები თქვენ, ყოველთა დიდთა და მცირეთა: უკეთუ ცთომილი რაჲმე იხილოთ, სიტყვა ანუ ასო, ნუ გამქირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ ქვეყანისა ამის და უსმენელი სიტყვათა თქვენთა და რომელნი ჩემნი მოწაფენი იყვნენ, ეგრეთვე გამოუცლელნი, საქმისა ამის ჩემისა, ვითა მე ვიყავ ქართლის უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა. გლოცავთ თქვენ, შემინდევით სულიერითა სიყვარულითა, რათა თქვენცა მოგიტევნეს უფალმან. ვით ბრძანებს: „მიუტევნეთ და მოგეტევნეს[1] თქვენ.

მდაბალი ამათ მბეჭდავთაგან მესტამბე მჯურვალითა გულითა ვმუშაკობ. მოსამსახურე თქვენი მიხაელ სტეფანეს შვილი უნგროვლახელი“ – წინა [3] გვ.

რედაქტორის ნიკოლოზ ორბელიანის ანდერძი – „ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული კეთილმორწმუნისა მეფის არჩილისა და სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, ღმთისმოყვარე, განათლებული ვახტანგ, იგულისმოდგინა და მოიღო სტამბა ვლახეთით, რომელ არაოდეს ყოფილიყო საქართველოში. და კელით წერაში ჩვენი სამღთონი წერილნი გარყვნილიყო. და მე, ღელის ძმისწულსა ამა მეფეთასა და მოსამართლეთუხუცესის ორბელის ძეს, ცოდვილს მღდელ-მონაზონს ნიკოლაოზს მიბრძანა წიგნების გასწორება და ვერ ურჩ ვექმენ. და ეს წმიდა სახარება დიდის ჭირითა, ბერძენთა და ბეჭდის[2] სახარებათა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტ-ნაკლები გავმართე და ეს საძიებელი, არც ერთს ენაში არ იყო, სიაღვილისა და აღრე პოვნისათჳს ახლა მე გავაკეთე და თუ გულისჴმაჲყოფთ, დიაღ ადვილია. თავისა და მუკლების ანგარიში ნაპირზე უსხეთს და სხვა ნიშნები შიგ ჩართულია. და საძიებელი სწორად იქ მიასწავებს და მას მიჰყევით.

ვინც ჩემნი ნაშრომი წიგნები ნახოთ, ღვთის სიყვარულისათჳს, შენდობას მიბრძანებდეთ. მე დიდად შემეწევის და თქვენ უზრუნველ იქნებით. საძიებელი მუკლები რომ მიგასწავებს, თავის აღება მისწავებულს მუკლს ქვევით არის და ბოლოს მოღება მისწავებულს მუკლს ზეით არის ნიშნები“ – წინა [4] გვ.

ტექსტი:

---

1. არშიაზე დასმულია მარგინალი: „ლუკა ვ:˜ლ˜ზ“. ამავე გამოცემაში ოღნავ განსხვავებულად იკითხება მითითებული ტექსტი: „მიუტევეთ და მოგეტევნენ“ გვ. როღ (134).

2. ქრ. შარაშიძისეული წაკითხვით „დაბეჭდი[ლ]ს“. იხ. პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722). თბ. 1955. გვ. 183..

შესხმა წმიდისა მახარებელისა მათესი, სოფრონის მიერ თქმული – წინა [5] გვ.
სახარება მათესი – ა-ჲზ (1-67) გვ.
შესხმა სოფრონის მიერ წმიდისა მარკოზ მახარებელისა – ჲწ (68) გვ.
მისივე მახარებლისათვის, შესხმა დოროთეს მიერ ... სინოპსელისა – ჲთ (69) გვ.
სახარება მარკოზისი – ოა-რიგ (71-113) გვ.
შესხმა წმიდისა მახარებელისა ლუკასი, სოფრონის მიერ – რიდ (114) გვ.
შესხმა წმიდისა მახარებელისა ლუკასი, რომელი დაწერა დოროთეოს მოწამემან და ეპისკოპოზმან ტირონ სინოპსელმან – რიე (115) გვ.
სახარება ლუკასი – რიზ-რპწ (117-188) გვ.
შესხმა წმიდისა მახარებელისა [იოანესი], თქმული სოფრონის მიერ – რპთ-რჟ (189-190) გვ.
შესხმა კვალად მახარებელისა იოანესი, თქმული დორეთეოს ... სინოპსელისა – რჟა (191) გვ.
სახარება იოანესი – რჟგ-სმვ (193-246) გვ.

საძიებელნი:

სახარებანი კვირიაკეთა (ბრწყინვალისა, ახალკვირისა, მენელსაცხებლეთა, განრღვეულისა, სამარიტელისა, შობითგან ბრმისა, ამაღლებისა, წმიდათა მამათა, მეერგასისა, ყოველთა წმიდათასა ლბ (32), მეზვერისა და ფარისეველისა, უძღები შვილისა, ხორციელისა, ყველიერისა, მარხვისა კვირიაკეთა) – სმზ–სოღ (247–274) გვ.
თვეთა მეტყველებანი – სოღ–სჟთ (274–299) გვ.
სახარებანი წმიდათა მამათა ჩვენთა, ქართველთა მნათობთა, ათორმეტთა ასურეთით ღმთისა მიერ მოვლინებულთანი – სჟთ-ტბ (299-302) გვ.

ვახტანგის პორტრეტი[3] – გარშემოწერილობით: ,,ქ. მადიდებელი წმიდისა სამებისა და ერთარსებისა, ძე გვარტომობით დავითიან, სოლომონიან, პანკრატიონი. ძე ძირთაგან კეთილოვანთა, ძის ძე მეფეთა, გამგებელი ქართლისა, ბატონისშვილი ვახტანგ, მომლები ბეჭდისა ამის, უფალო, დაიცევ ორთავე შინა ცხოვრებასა, მეუღლით, ძით და ასულით“ – ტექსტის შემდეგ, ჩართულ ფურცელზე.

გაფორმება[4]**:** სახარების ყოველი თავის დასაწყისთან გრავიურები: მათე[5] – [6] გვ., მარკოზი[6] – ო (70) გვ., ლუკა[7]– რივ (116)გვ. და იოანე[8] – რჟბ (192) გვ. წარწერები

3. იხ. დანართი I, N 1

4. ვახტანგის სტამბის გამოცემათა გაფორმების შესახებ იხ. შ. კვასხვაძე, ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნი 1709-1722. თბ. 1952. გვ. 255.

5. იხ. დანართი I, N 2

6. ვფიქრობთ, წარწერა არასწორია, რადგან გრავიურაზე გამოსახული ხარი ლუკა მახარებლის სიმბოლოა. იხ. დანართი I, N 3

7. იხ. დანართი I, N 4

8. იხ. დანართი I, N 5

გრავიურებზე: 1. „წმიდა მათე, (მარკოზ, ლუკა, იოანე) შეიწყალე ვახტანგ“. 2. გარშემოწერილობა – „მოციქულო, წმიდაო მათე, (მარკოზ, ლუკა, იოანე) ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რათა ცოდვათა შენდობა მოგვანიჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა“. 3. გრავიურების ქვეშ ტროპარებია: ა. „ქრისტეს მხილველო და ერთგულო მოწაფეო, მახარებელო მათე, ჭეშმარიტებისა ქადაგო, მაღლით გარდამო ნათელი სამღთოჲ გარდამოავლინე ჩვენზედა მკურვალედ ვედრებითა შენითა“; ბ. „მარკოზ მახარებელო, სანატრელო, რომელმან გვახარე ჩვენ საიდუმლონი ღმთისანი, რომლითა განათლებულნი ღმთის მეცნიერებით პატივგცემთ და გმადლობთ შენ, ღირსო, მიმიძღუ ჩვენ ალაგთა სიმართლისათა, რათა განვერნეთ ყოველთაგან საბრკეთა მათთა“; გ. „პავლეს თანა მავალსა და სულისა მიარსა, სახარებისა კელოვნად აღმწერელსა და საქმისა მოციქულთასა შვენიწრად და კეთილად მაუწყებელსა, ლუკაჲს, ღმთისაჲ ქადაგსა, საუნჯესა სათნოებათასა, ვაქებდეთ და ღირსებით გალობასა შევასხმიდეთ“; დ. „მაცხოვრისა მოწაფეო, თვალით მხილველ იქმენ საშინელსა ხილვასა, რომელი უხილავ არს და გვიქადაგე ჩვენ: „პირველითგან იყო სიტყუა ღმთისა მხოლო, დამბადებელი ყოველთა. მას ევედრე, ღმთისმეტყველო, სულთა ჩვენთათჳს“.

თავსამკი: ტრიპტიხი – ღვთისმშობლის, ქრისტესა და ნათლისმცემელის ოვალური ხატებითა და დაქარაგმებული წარწერებით: 1. „ყოველად წმიდაო, მეოხ ეყავ ვახტანგს“; 2. „იესო ქრისტე, მეოხ ეყავ ვახტანგს“; 3. „ნათლისმცემელო, მეოხ ეყავ ვახტანგს“– თავფურცელზე და სახარების ყოველი თავის დასაწყისთან ა (1); ოა (71); რიზ (117); რქგ (193) გვ. [9]

ბოლოსამკი: წმინდა ელენე და წმინდა კონსტანტინე მაცხოვრის საფლავთან დაქარაგმებული წარწერებით. I ვარიანტი: FS 4 993 ცალში ჲთ (69) გვ. ბოლოსამკის ჩარჩოს შიგნით, გამოსახულებათა გემოთ – „კოსტანტინე“, „ელენე“. II ვარიანტი: ეროვნული ბიბლიოთეკის ყველა დანარჩენ ეგზემპლარში – ჲთ (69) და რჟ (190) გვ.: მარცხნივ, ბოლოსამკის ჩარჩოს შიგნით – „კოსტანტინე“, გარეთ – „წმიდაჲ“. მარჯვნივ, შიგნით – „წმიდაჲ“, გარეთ – „ელენე“[10]. გამოცემა შემკულია აგრეთვე მხატვრული ჩარჩოებით, ტექსტის გამყოფებითა და ორნამენტული საბენაო ასოებით.

1. K 3 394/ 409 – სახარება. – ტფილისი. – 1709 – [6], ტბ (302), [2] გვ. – სრული ცალი.

ყდა (29x20) სმ. ხის, შავი ტყავით, მოოქრული, ტვიფრული: ორნამენტულ ჩარჩოში საკუთხე სამკები, ცენტრალურ ნაწილში გედა ფრთაზე ჯვარცმაა, ქვედაზე – ღვთისმშობელი; შეიმჩნევა სამი შესაკრავის კვალი. გედა ფრთის ხე გატეხილია, ქვედა

9. იხ. ღანართი I, N 6. იგივე 1709-1722 წლის ბიბლიაში.

10. მხატვრული თვალსაზრისით უმჯობესია I, შინაარსობრივად სრულყოფილი კი II ვარიანტი, მაგრამ წარწერა ვერ თავსდება მინიატიურაზე. ცხადია, რომ ქართული წარწერები ამოკვეთილი არ ყოფილა საგრავიურო დაფაზე, რომელიც ალბათ უნგრელმა მესტამბემ ჩამოიტანა ევროპიდან. იხ. ღანართი I, N 7

ფრთა თითქმის მოცილებელია კორპუსს. ყუა ტვიფრულია. ფურცელთა შემონაჭერი აგურისფერი.

სარესტავრაციო: ყდა, რლზ-რლწ (137-138) და ბოლო გვერდი.

აკინძვის ხარვეზი: რიბ-რიგ (112-113) ჩართულია რიე-რივ (115-116) გვ.-ებს შორის.

ჩანართი: ფორზაცებად გამოყენებულია ამავე სტამბის 1709 წლის „სამოციქულოს“ ფურცლები – ტწ (308) და ტია (311) გვ.

მინაწერები:

1. „ძველ ვახტანგის მიერ 1709 წ. დაბეჭდილი სახარება. ხიხლიოთ. ალ. მირიანაშვილია“ [11] – ყდის ზედა ფრთაზე დაკრულ თეთრ ქაღალდზე, შავი მელნით. იქვე, წითელი ფანქრით: №13.
2. „ესე სახარება ამის ივანე ივანოვის“ – სკდ (224) გვ. მარცხენა არშიაზე, შავი მელნით.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1940 წელს.

2. F 4 126/4 – სახარება. – ტფილისი. – 1709 – [6], ტბ (302), [2] გვ. – წიგნს აკლია ტექსტის ბოლოს ჩართული ფურცელი ვახტანგის პორტრეტით.

ყდა (27x20) სმ. ხის, ყავისფერი ტყავით, ტვიფრული: ორნამენტულ ჩარჩოში საკუთხე სამკები, ცენტრალურ ნაწილში ზედა ფრთაზე ჯვარცმაა, ქვედაზე – მაცხოვარი; აქვს ორი შესაკრავი. ყუა ტვიფრულია. ფურცელთა შემონაჭერი – აგურისფერი.

რესტავრირებულია ცისფერი ქაღალდით, აღდგენილია ტექსტი – ზ-წ (7-8), ჲგ-ჲდ (63-64), სყზ (297) და ტა (301) გვ.

ჩანართი: ფორზაცებად გამოყენებულია ცისფერი ქაღალდი. ტექსტის ბოლოს ჩაურთავთ ნუსხურით, შავი მელნით აღდგენილი [2] გვერდი.

მინაწერები:

1. „ძის ყაიროსნებმან ბაღონს, ჩემს მორყალესა და [ჩემთვი] მხთის წყალობას ვითხოვ. თქვენის... აბა, კალამო, მოეთ დაწერ: იმაცა ასვათ ასეთი ითესა თავსა ამაში“ – წინა ფორზაცზე შავი მელნით. იქვე:
2. „ყაისაროსი ქაიოზი წილყნელი“. იქვე:
3. „ა-ჰ“ – მხედრული ანბანი 3 ჯერ. (აგრეთვე სპწ (288) გვ.)
4. „ყაისაროსი ქაიოზი, ძეიწყალე, ყვალო“ – [4] გვ. შავი მელნით.
5. „წ[მიდ]ა კოსტანტინე“ – ჲთ (69) გვ. ბოლოსამკთან 2 ჯერ.
6. „ძაბაოსა მიცვალებულსა ზედა“ – სდ (204) გვ.
7. „ხყოძაოსა მიცვალებულსა ზედა“ – სწ (208) გვ.
8. „ქ. დასრულდა სახარება იოვანესი“ – სმვ (246) გვ. იქვე:

11.. ალ. მირიანაშვილის პირადი წიგნების მნიშვნელოვანი ნაწილი ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული.

9. „იოანე ღვთისმეტყველისა სახარება“. იქვე:
10. „იოანესაეან წმიდისა სახარებისა საყითხავი“.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1985 წელს.

3. FS 4 993[12] **(K 3 312/409) – სახარება. – ტფილისი. – 1709** – [6], ტბ (302), [2] გვ. – სრული ცალი.

ყდა: (26x19) სმ. ხის, შავი ტყავით, ტვიფრული: ორნამენტული ჩარჩოს კუთხეებში მახარებელთა გამოსახულებებია შესაბამისი წარწერებით: „Матьфей, Марко, Лука, Иоан.“ ცენტრში, ზედა ფრთაზე ჯვარცმაა, ქვედაზე – ღვთისმშობელი ყრმა იესოთი.[13] შეიმჩნევა სამი შესაკრავის კვალი. ყდა მოცილებულია წიგნის კორპუსს. ყუა უთავსაკრო, ტყავი ნაპირებთან ძალზე დაზიანებული.

სარესტავრაციო: ყდა.

მინაწერები:

1. „1906 წ. – 1709 წ. 197 წლისაა“ – წინა ფორზაცზე, ფანქრით.
2. „ჯახცანე“ – ასოგრეხილით, შავი მელნით, ფორზაცზე.

სხვა გაურკვეველ-დაუმთავრებელი თუ უმნიშვნელო მინაწერები: სნწ (258) და ტ (300) გვ.

ბეჭედი: „ქშწკგ საზოგადოების წიგნთ-საცავი“. ორი სახის: მრგვალი და ოვალური – ფორზაცსა და თავფურცელზე;

ექსლიბრისი: ექვსკუთხედში „მონაზონი ნიკოლოზ“ – ბოლო ფურცელზე, ვახტანგის პორტრეტის ზემოთ.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1940 წელს.

4. FS 2 730 – სახარება. – ტფილისი. – 1709. – [6], ტბ (302), [2] გვ. – სრული ცალი.

ყდა: (27x20) სმ. შინდისფერი კოლენკორის.

სარესტავრაციო: ა-კვ (1-26), მა-მბ (41-42), ჲა-ჲბ (61-62), სოგ-სოე (273-275) გვ.

აკინძვა: სყე-სყვ (295-296) ჩაკრულია სპთ (289) გვ.-ის წინ.

ბეჭედი: „ქშწკგ საზოგადოების წიგნთ-საცავი“ – თავფურცელზე, წინა [3] და სხვა გვ.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1940 წელს.

---

12. ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების საინვენტარო დავთრის ჩანაწერის მიხედვით, წიგნი შეუწირავს მღვდელ გიორგი ფერაძეს.

13. ძველი ქართული ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნების ყდები, შეისწავლა მ. კარანაძემ. მის ნაშრომში: ქართული წიგნის ყდის ისტორია. თბ. 2002. 151 გვ. გამოქვეყნებულია ამ ეგზემპლარის ყდაც. იხ. დამ. III-1, №2.

5. FS 3 739/09 – სახარება. – ტფილისი. – 1709. – [6], ტბ (302) გვ. წიგნს აკლია: ბოლო [2] გვ.

ყდა: (28X20) სმ. ხის, შავი ტყავით, ტვიფრული: ორნამენტული ჩარჩოები საკუთხე სამკებით, ცენტრში, მედა ფრთაზე ჯვარცმის კომპოზიციაა; ქვედაზე ტვიფრი აღარ ჩანს. ყუა თავსაკრიანია, ტვიფრული.

სარესტავრაციო: წინა [6], იე-იზ (15-18); კე-ნდ (25-54); პთ-რკ (89-120); რკთ-რლთ (129-139); რპე-რჟ (185-190); სით-სლ (219-230); სლგ-სმდ (233-244); სჲზ-სო (267-270); სოდ-სოე (274-275); სპე-სპზ (285-288) და სყე-სყვ (295-296) გვ.

აკინძვა: ამოვარდნილია სკგ-სკდ (223-224) გვ.

ჩანართი: ფორზაცად გამოყენებულია ბაქარის ბიბლიის ფიგ (513) გვ.

დანართი: ჯვართამაღლების ამსახველი მინიატურა, ფერადი, ნახატი. შესრულებულია მაღალ ღონეზე, მინაწერები ნუსხურად და მხედრულად: „ქრისტეს ჯვარი“, „ჯვარი გამოაჩინეს“, „მეფე კოსტანტინე“, „ელენე“. გარშემოწერილობა დაზიანებულია, იკითხება მხოლოდ: „ღმერთო ... მეფესა ჩვენსა და ძლევა მომაღლე მათ. რომელი ამაღლდი ...“.

მინაწერები:

1. „ⴋⴔⴈⴑ ⴋძⴍⴈⴑ, ⴍⴍⴔⴓ ⴑⴔⴋⴑⴓⴔⴖⴔⴑⴈ ⴗⴍⴈ“[14] – წინა [2] გვ. ბოლოსამკის ქვეშ, შავი მელნით.
2. „ⴊ. ⴍⴑ ⴕⴋⴈⴓⴁ ⴑⴁⴁⴋⴑⴖⴁ [ⴍⴍⴓ]ⴖⴔⴑⴈ ⴁⴋⴈⴑ“ – წინა [4] გვ. მედა არშიაზე, შავი მელნით.
3. „1836 ⴒⴊⴍⴓⴒ, ⴘⴍⴓⴁⴋⴖⴑⴖⴘⴈ ⴈⴈⴊⴘⴔⴓⴔ ⴑ.ⴊ.ⴁⴊⴘⴋⴑ“[15] – ქვედა ფრთაზე დაკრულ ფურცლზე.

ბეჭედი: „ქშწკგ საზოგადოების წიგნთ-საცავი“ – თავფურცელზე.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1938 წელს.

6. FS 444 – სახარება. – ტფილისი. – 1709. – [6], ტბ (302) გვ. წიგნს აკლია: ბოლო [2] გვ.

---

14. ელენე სიმონოვნა – ასტრახანში მცხოვრები სომეხი ვაჭრის, სიმონ აღად წოლებული აბა მელიქის ასული – ყოფილი ხაფერვანი. დავით ბატონიშვილის (1768-1819), ქართლ-კახეთის ტახტის უკანასკნელი მემკვიდრის მეუღლე, გაღაასახლეს პეტერბურგში 1810 წელს. გარდაიცვალა 1836 წლის 19 მარტს, დაკრძალულია ნევის მონასტერში, მეუღლის გვერდით. (პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბ. – 1936. – გვ. 138-139; საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების, ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H) ტ.5. – თბ. გვ. 68, №2108).

15. მინაწერის მიხედვით, გარდაცვლილის წიგნს მაშინვე გასჩენია ახალი მფლობელი. ეგზემპლარი დავით ჩუბინაშვილის კოლექციიდანაა.

ყდა: (29x20) სმ. მუყაო, ხაკისფერი კოლენკორით. ზემოდან დაკრულია ძველი ყდის ტვიფრული ტყავი.

რესტავრირებულია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფერის ქაღალდით.

მინაწერები:

1. „ალექსანდრე ეყლისაშვილი“ – თავფურცელზე, თავსამკის ზემოთ, შავი მელნით.
2. „საეპარქოს ნინოწმინდის ეკლესიისაა“ – ქვედა არშიაზე, შავი მელნით.
3. „ქ. შეინყალე მონა შენი სვიმონი, უფალო“ – რუგ (193) გვ. სათაურის ზემოთ. ქვმოთ, იმავე ხელით:
4. „ქ. მოიხსენე, უფალო, მონა შენი კაპნელა“.
5. „იზ (27) აპ თვის, სიმონისა, სახარებაჲ მარკოზისა. თავი ვ (6), მუხლი ა (1): მ(ა)ს ვ(აშს)ა შ(ი)ა ეაძოვიდა ი(ს)ყ. დასასრული მუხლი ვ (6): და ეანყოფნა იეონი“ – სუგ (293) გვ. ქვედა არშიაზე, ჩამატებულია აპრილის თვის საძიებელში, ნუსხურითვე, შავი მელნით.
6. „ჩვენ ნინოწმინდელმა იოანე მაყაშვილმა[16] შეგსწირეთ საეპარქოს წმიდის ნინას ეკლესიას“ – ტბ (302) გვ. ქვედა არშია.

ბეჭედი: „ქ.შ.წ.გ. საზოგადოების წიგნთ-საცავი“ – თავფურცელზე, წინა [3] და სხვა.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1940 წელს.

7. FS 445[17] – სახარება. – ტფილისი. – 1709. – [6], ტბ (302), [2] გვ. – წიგნს აკლია: სპზ-სყა (287-291) გვ.

ყდა: (28x20) ხის, შავი, ტვიფრული ტყავით: ორნამენტული ჩარჩოები საკუთხე სამკებით, შუაში, ზედა ფრთაზე ჯვარცმა, ქვედაზე ტვიფრი აღარ იკითხება. ყუა ტვიფრულია, თავსაკრიანი.

ჩანართი: ყდის ქვედა ფრთაზე ფორზაცად გამოყენებულია ამავე სტამბის ბიბლიის გვ. 40.

მინაწერები:

1. „ქ. ეს სახარებაჲ მარკოზის შვილის [ეპიეოლისა] ამის, მღდლისა, ღმერთმა მოახმაროს“ – წინა ფორზაცზე, შავი მელნით.
2. „ქ. შენ ჩემო საეონეჭლო,
   ამა ყოვლთა ღღეთაო,
   ახალო ვარდო, ყოყოფო,

16. იოანე მაყაშვილი – ბოლბელი მიტროპოლიტი (1740 –1837). ქსე, ტ. 2, გვ. 441.

17. ალ. გულისაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებასთან და მის ბიბლიოთეკას შესწირა ამ გამოცემის ორი ეგზემპლარი: №444 და №445. ყდის გამოცვლის გამო, აღნიშნული ბიბლიოთეკის წიგნთა საინვენტარო ნომერი ამ ეგზემპლარს აღარ აქვს, იგი დაღგენილია ჩვენს მიერ ქ.შ.წ.კ.გ.ს. ხელნაწერი კატალოგის საფუძველზე.

ⴔⴀⴆⴀⴔⴔⴚ ...“ – ბოლო ფურცელზე, ვახტანგის პორტრეტის უკან.

ბეჭედი: „ქმწკგ საზოგადოების წიგნთ-საცავი“ – თავფურცელზე, პირველსა და ბოლო გვერდზე.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1940 წელს.

8. FS 3 188 – სახარება. – ტფილისი. – 1709. – [4], ტბ (302) გვ. – წიგნს აკლია: [5-6], ჲთ-ო (69-70) და ბოლო [2] გვ.

ყდა: (26x19) სმ. მუყაო. ყუა ყავისფერი ტყავის. ფურცელთა შემონაჭერი ცისფერია.

სარესტავრაციო: წინა [4] და ა-ი (1-10) გვ.

მინაწერი:

1. „ⴂⴍ ⴑⴀⴐⴀⴛⴕⴖⴀ ⴀⴛⴈⴍ 155-ⴈⴍ ⴕⴓⴈⴑⴀ, ⴂⴍⴒ ⴈⴔⴈ ⴀⴍ ⴈⴛⴛⴈⴔⴓⴕⴐⴀ ⴈⴐⴚⴔⴈⴔⴕⴖⴈⴍ ⴕⴓⴈⴑⴈⴍ, ⴐⴀⴖⴂⴖⴚⴓⴈⴓⴈⴍⴈ ⴀⴛⴈⴍ 1709-ⴑⴀ ⴕⴂⴓⴑⴀ“ – წინა ფორზაცის [4] გვ. შავი მელნით.

დანართი: დიდი, დაკეცილი ფურცლის ცალ მხარეს ორნამენტულ ჩარჩოში დაბეჭდილია „Таблица ко второй части“ – ქრისტეს გენეალოგია და მსოფლიო საეკლესიო შვიდი კრების მონაცემები.

ბეჭედი: „ქმწკგ საზოგადოების წიგნთ-საცავი“ – ფორზაცზე.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1940 წელს.

9. K 5 123/409 – სახარება. – ტფილისი. – 1709. – [6], ტბ (302) გვ. – წიგნს აკლია: ბოლო [2] გვ.

ყდა: (29x20) სმ. ხის, ყავისფერი ტყავით, ტვიფრული: ორნამენტული ჩარჩო საკუთხეებით, ცენტრში ზედა ფრთაზე არაბესკაა, ქვედა – მოჩარჩოებულია ყვავილოვანი სამკით. ყუა ტვიფრულია, თავსაკრიანი.[18] წიგნს აქვს თეთრი სანიშნი.

სარესტავრაციო: ყუა, რკბ-რკწ (127-128) გვ.

მინაწერები:

1. „და ⴀⴀⴆⴕⴚⴀⴐⴖⴀ [ⴗⴚⴒⴑⴈⴈⴕ] ⴑⴒⴈⴕⴕⴚⴚⴈⴍⴈ ⴑⴀⴑⴈⴍⴀ“ – სჭწ (298) გვ. ჩამატებულია აგვისტოს თვის საძიებელში, 16 რიცხვის გასწვრივ.
2. „ⴂⴍ ⴑⴀⴑⴀⴔⴖⴀ ⴀⴛⴈⴍ ⴖⴀⴍⴈ ⴛⴀⴍⴀⴑⴕⴔⴈⴍ, ⴖⴈⴍⴔ ⴕⴀⴀⴛⴕⴚⴀⴍ, ⴖⴀⴀⴛⴕⴚⴔⴈⴐ ⴀⴀⴛⴔⴕⴖⴀⴛⴈ, ⴖⴈⴍⴔ ⴕⴀⴀⴑⴕⴔⴈⴍⴈⴐ ⴓⴀ ⴖⴈⴍⴔ ⴀⴀⴛⴈⴛⴕⴔⴈⴐ. ⴖⴈⴍⴔ ⴞⴕⴍⴔⴈⴛⴀ, ⴀⴀⴔⴔⴕⴖⴀⴛⴈ ⴞⴕⴕⴍⴔⴈⴀ“ – უკანა ფორზაცზე შავი მელნით, (მსგავსი, დაუსრულებელი მინაწერი სივ (216) გვერდზეც). იქვე, იმავე ხელით:
3. „დⴖⴈⴍⴚⴂ ⴑⴀⴑⴀⴔⴖⴀ ⴀⴔ, ⴈⴀⴈⴔⴕⴔⴈ [დⴈⴀⴂⴍⴈⴍⴀⴍ] ⴔⴂⴓⴓ (1863) ⴕⴓⴈⴑⴀ, ⴈⴀⴍⴖⴔⴈⴍ ⴂⴓ (23) [და ⴂⴈⴓⴓⴖⴔⴀ] ⴀⴖⴖⴀⴕⴀⴖⴂ ⴈⴀ ⴕⴖⴂⴔⴞⴈ. ⴂⴍ ⴑⴀⴑⴀⴔⴖⴀ ⴀⴀⴛⴈⴍ ⴛⴀⴍⴀⴑⴔⴈⴍⴈⴑⴀ“.

18. ყდის ნიმუში იხ. მ. კარანაძე, დასახელებული ნაშრომი, დამატება III-25, №61.

4. „ჩყიბ-ა (1868) ჩავიყოთგე ეს სახარჭა ძე, სვიმონ დიაკონმა,[19] თებერვლის კე-ა (25) დღესა“ – უკანა ფორზაცზე ლამაზი მხედრულით.

ბეჭედი: „სვიმონ“ – წრეში შავ ფონზე, ასოგრეხილით. ტბ (302) გვ.-სა და უკანა ფორზაცზე.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1950 წელს.

10. K 34 181/309 – სახარება. – ტფილისი. – 1709. – [6], ტბ (302) გვ. – წიგნს აკლია: თავფურცელი და ბოლო [2] გვ.

ყდა: (27x19) სმ. ხის. ყავისფერი ტვიფრული ტყავით: ორნამენტულ ჩარჩოთა კუთხეებში მახარებელთა გამოსახულებანი. ცენტრში ზედა ფრთაზე ჯვარცმაა, ქვეღაზე – ღვთისმშობელი.[20] შეინიშნება ორი შესაკრავის კვალი. ყუა ტვიფრულია, თავსაკრიანი. ფორზაცად ზედა ფრთას აკრავს ამავე წიგნის წინა [3-4] ქვეღას კი ტა-ტბ (301-302) გვ.

აკინძვა: რმე-რმვ (145-146)-ს წინ უსწრებს რმზ-რმჱ (147-148), ხოლო რნა-რნბ (151-152) რმთ-რნ (149-150) გვ.

რესტავრირებულია უხეშად, ცისფერი და თეთრი ქაღალდით. ზოგგან აღდგენილია ტექსტიც.

მინაწერები:

1. „ეს წძინდა სახარჭა და ერთი ქალაქის სახარჭა ჱრემოსწირა ჯრუჯის ყდაჱნოს ნეცარად სჱენეჱყლმა იოანე მღდელმა, ჯაფაჩიძემ. *[ჯინც]* ეს წძინდა სახარჭა ეძმოსწიროს, აძისი ძადლი ეაყნყრეს. აძინ!“ – რნ-რნგ (150-153) გვ.-ს შორის ჩართულ ცისფერ ქაღალდზე, შავი მელნით.
2. „ჯრუჯის ძონაცლრის აძის“ – იმავე ფურცლის უკანა მხარეს ნუსხურით, შავი მელნით. იქვე ასოგრეხილით: „სახარება“.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1950 წელს.

11. P 1/1709 – სახარება. – ტფილისი. – 1709. – [6], ტბ (302) გვ. – წიგნს აკლია: წინა [5-6], ჲთ-ობ (69-72), რიე-რივ (115-116) და რჟა-რჟბ (191-192) გვ.

ყდა: (29x20) სმ. მუყაო ყავისფერი კოლენკორით.

აკინძვის ხარვეზები: წინა [3-4] ჩართულია ბოლოში, სნჱ (258)-ის შემდეგაა სნგ-სნდ (253-254) გვ. წიგნი რესტავრირებულია ფურცლებად.

მინაწერები:

---

19. სვიმონ დიაკვნის ხელით, ფანქრით შესრულებული შენიშვნები იხ.: ლბ-ლდ (32-34), მზ-ნა (47-51), ნე (55) და სხვა გვერდებზე; ბ-ლზ (2-37)-ზე ალაგ-ალაგ, სვეტთა შორის, შავი მელნით ჩაწერილია არაბული ციფრები ორიდან ორმოცდაათის ჩათვლით.

20. წიგნის ორივე ფრთაზე წაღმა და თავდაყირა ამოტვიფრულია მხოლოდ ორი მახარებელის გამოსახულება, ნაცვლად ოთხისა. ყდის ნიმუში იხ.: მ. კარანაძე, დასახელებული ნაშრომი, დამატება 111-7. №13.

1. „მეთოდე დავითის ძე დოლონაძე“ – წინა ფორზაცზე, შავი მელნით. იქვე:
2. „მეთოდი დავითის ძე“ – იქვე: »Методий Догонадзе». იქვე:
3. „მღდლის. ეოდოენის[21] ჰრიჩქნიკი მეთოდე, №6“.
4. „ჰრიჩქნიკი ჰროკოპი [ჯიმაკაძე] – თავფურცლის V-ზე.

ყოფილ წიგნის პალატაში რეგისტრირებული იყო 1941 წელს.

21. გოლოგნა – სოფელი თერჯოლის რაიონში.

სახარება. 1709



დავითნი. ტფილისი, 1709 — ერთ-ერთი გვერდი

დავითნი. – ტფილისი. – 1709[22]

პგ-სოა (83-271) [23] ფ.
შრიფტი: ნუსხა-ხუცური, ფორმატთან შეუსაბამოდ მსხვილი, სიმაღლე 10 სტრ.=72 მმ. ერთ გვერდზე 15 სტრიქონი. ტექსტის ანაწყობი (12,2x7) სმ.
პაგინაცია: ასოებრივი, ნუსხურით. ზედა კუთხეში, ფურცლობრივი.
სიგნატურა: ასოებრივი, რვეულთა სათვალავი მთავრულითაა, ნუსხურით – ფურცელთა, ქვემოთ ცენტრში. გამოცემა აკინძულია 8-8 ფურცლიან რვეულებად. დანომრილია მათი მხოლოდ 1-4 ფურცლები: მ, მ ბ, მ გ, მ დ. – – – – ; ნ, ნ ბ, ნ გ, ნ დ – – – – და ა.შ.
ბეჭდვა: ერთ ფერში. აქვს კუსტოდები, ცვლადი კოლონტიტული.
გაფორმება: სადაა, თავსამკებად გამოყენებულია ყვავილოვან ორნამენტთა წყება. კოლონტიტული შემოზღუდულია მცირე არაბესკებით.
ტირაჟი და ფასი: გამოცემაში მითითებული არ არის.

1. K 8 495/109 – დავითნი. – ტფილისი. – 1709. – წიგნს აკლია დასაწყისი – მეორე რვეულის პგ (83) ფურცლამდე. აგრეთვე: პშ-ქვ (87-96), რკთ (129), რლშ (137), რმ-რმა (140-141), რნე (155), რპბ (182), სჲთ (269) და სოა (271)-დან ბოლომდე.

ყდა: (13,5x9) სმ. ხის, ყავისფერი, ტვიფრული ტყავით: ორნამენტულ ჩარჩოში გეომეტრიული ფიგურები. ყუას შიგნიდან აკრავს წვრილი ხუცური შრიფტით დაბეჭდილი ფურცლის ფრაგმენტი.

სარესტავრაციოა: ყდა. ძალზე დაზიანებული ყუა, ქვეღა ფრთასთან ერთად მოცილებულია კორპუსს.

მინაწერი: „დავითნი 1709 წ.“ – ზედა ფრთაზე, შიგნიდან წითელი ფანქრით. – იქვე, „1709“ მელნით.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1985 წელს.

---

22. პირველად ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის შემდგენლებმა აღმოაჩინეს მისი ერთადერთი, თავბოლონაკლული ცალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს უიშვიათესი წიგნი ფორმატთან შეუსაბამო, ვახტანგის სტამბის მსხვილი ნუსხური შრიფტითაა დაბეჭდილი და მიიჩნიეს 1709 წლის გამოცემად, რაკიღა 1710 წლიდან ამ სტამბას უკვე ჰქონდა მცირე ზომის შრიფტიც. აღნიშნული წიგნის საილუსტრაციო გვერდთან შედარებით დადგინდა ამ ეგზემპლარის იგივეობა. იხ. ქართული წიგნი (შემდგომში ქ.წ.) ბიბლიოგრაფია გ. 1. თბ. 1941. № 6.

23. ბიბლიოგრაფიაში აღწერილი ეგზემპლარის მსგავსად, ესეც უთავფურცლოა, თავბოლონაკლული; ფურცელთა დიდი ნაწილი ფრაგმენტულია; კვლავ უცნობი რჩება გამოცემის სრული სახე და გვერდთა საბოლოო მონაცემი.



სამოციქულო. ტფილისი, 1709 — თავფურცელი

სამოციქულო. – ტფილისი. – 1709

[4], უმბ (442) გვ. = ა[6]–ჯ[6], ჱ[3] ფ.

შრიფტი: ნუსხა-ხუცური. სიმაღლე 10 სტრ. = 72 მმ. ერთ გვერდზე 32 სტრიქონი. ტექსტის ანაწყობი (22,5x14) სმ.

პაგინაცია: ასოებრივი, ნუსხურით, საერთოა ტექსტისა და საძიებლებისათვის, აღუნუსხავია წინა 2 ფურცელი. გვერდთა დანომრვაში დაშვებულია შეცდომები: კ (20)-ის შემდეგ ივ (16), კე (25)-ის შემდეგ ისევ ივ (16). სკთ (229)-ის ნაცვლად სლ (230), ტკჱ (328)-ის მაგივრად ტლჱ (337), ტკთ (329)-ის ნაცვლად ტით (319), ულე (435)-ის მაგივრად ულჱ (437).

სიგნატურა: ასოებრივი, რვეულთა სათვალავი მთავრულითაა, ნუსხურით – ფურცელთა. აღნუსხვა ქვემოთ ცენტრში. გამოცემა აკინძულია 6-6 ფურცლიან რვეულებად. დანომრილია მათი მხოლოდ 1-3 ფურცელი: ა, ა ა, ა ა ა – – –; ბ, ბ ბ, ბ ბ ბ – – – და ა. შ.

ბეჭდვა: ორ ფერში, თავფურცელსა და საძიებლებში გამოყენებულია წითელი საღებავი.[24] ტექსტი დაყოფილია თავებად და მუხლებად, მოჩარჩოებულია, ჩარჩო ორმაგდება მარგინალიებისათვის კოლონტიტულის გარეთა კიდეებთან; აქვს კუსტოდები, ცვლადი კოლონტიტული.

ტირაჟი და ფასი: გამოცემაში მითითებული არ არის.

თავფურცელი – „სამღთო და სამღდელო სამოციქულო. აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედა. ჟამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა საქართველოს მეფისა უფლისა, უფლისა გიორგისა, იესიან, დავითიან, სოლომონიანისსა. შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასეთათა მართლმადიდებლისა და განათლებულისა, საქართველოს განმგებელისა ბატონისშვილისა, თჳთ უფლისა ვახტანგ ლევანის ძისათა. გაიმართა წმიდაჲ ესე კელითა ნიკოლაოზ მღდელ-მონაზონისა, ორბელისშვილისათა. კელითა მესტამბე მიხაილ სტეფანე შვილისა უნგროვლახელისა. ქალაქსა ტფილისისასა, ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და ცხრასა“.

ბაგრატიონთა გერბი – ერთლომიანი ვარიანტი,[25] დაქარაგმებული წარწერები: „წყალობითა ღმთისითა დავითიან, პანკრატიონი მეფე გიორგი ყოვლისა საქართველოისა“; „დავითის ქნარი“, „დავითის შურდული“, „ ქრისტეს კვართი“ – წინა [2] გვ. იქვე, ქვემოთ:

---

24. ორ ფერში პირველად ვახტანგის სტამბის ეს გამოცემა დაიბეჭდა.

25. ბაგრატიონთა გერბი ვახტანგის სტამბის ამ გამოცემაში გეხვლება პირველად. იხ. დანართი I, N 8. გერბის სრული აღწერა, სიმბოლიკის ახსნა და ქარაგმათა ბროსესეული წაკითხვა გამოქვეყნებულია წიგნში: ქრ. შარაშიძე. პირველი სტამბა საქართველოში. (1709-1722). თბ. 1955. გვ. 117.

გერბის სიმბოლიკის ამხსნელი ლექსი:

„გასინჯეთ ბეჭდის იგავი, მსმენნო, ნუ გაქვან წყინება,
ფსალმუნთ ქნართ ცემა დავითის, თუმც რაზედ იყო სმინება,
ქრისტესა მოასწავებდა, ვინ დაჴსნა ცრემლთა დინება,
და დავითის ტომით, ჯორცთშესხმა თუ ვითარ მჴსნელმან ინება.
ამ შურდულითა დავით სძლო გოლიათს, არ თუ ზავებდა,
ლომნი ტახტისა სოლომონს, შჯდს სიბრძნეს მოუსწავებდა,
მჴსნელი, ვინ აღთქმას ულებდა, ქმნულთ ეგრე გაუთავებდა,
და ვით ძალელვა და შეჰგვანდა, მის მტერზედ ეგრე დავებდა.
როს მჴსნელმან სათნო იჩინა ქალწულის მუცლად ღებანი,
მით უყო წარმართთ ყოველთა ამ საქმით განათლებანი.
ჯვარცმით, გამოჴსნით, ყოველთ სულთა, იყო მის ქმნისა ნებანი,
და განკურნა წყლულნი უწამლო, რომელი გუჭირდა სნებანი.
ოლეს უქსოვა ქალწულმან. მჴსნელს კვართი, ქსელით გდებული,
იგი ელიოზს წილად ხუდა, მოვიდა ქართლად რებული.
სად არის სახლად უფლისად სვეტი ცხოველი გებული,
და აქა ძეს ჩვენთჯნ სულთა ჴსნად, კურნებად იმედებული.
ქართველთ მეფენი დავითის გვარ-ტომით, მოდგამობითა,
თჯთ ყოველად წმიდა, უბიწო, არის მათ ძირთგან შობითა,
ვართ მისთჯნ წილად ხდომილნი და მისის იმედობითა,
და ამად არ ვიქმნათ უხილავთ მტერთაგან ლახვარსობითა.
სტამბას ბეჭდავდენ ფრანგნი და რუსნი და მერმე ვლახელნი,
აქ არსად იყო აროდეს, ვერ ვპოვეთ მისნი მნახველნი,
გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირვა მსახველნი
და ეს ბეჭდა ხოსრო მეფის შვ, გაცუდდენ ყოვლნი მჩმახველნი“.[26]

ვახტანგის ანდერძი – „სადიდებელად წმიდისა სამებისა, მე, გვარტომობით, ძირმოდგმობით დავითიანმან. ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამან. ძმისწულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსნის ლევანისამან. განმგებელმან ქართლისამან. ბატონისშჯლმან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა საჯსრად სულთა წინა თქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა, გურიელის ასულის

26. სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაცაა წარმოდგენილი ლექსის ბოლო ბწკარი. ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიასა და პ. გუგუშვილის ნაშრომში: „ამ ბეჭდვამ ახლა მის გამო გაცუდნა ყოველი მჩმახელნი“. იხ. ქ. წ. ტ. 1. გვ. 13 და პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX – XX სს.~ ტ.7. - თბ. 1984. გვ . 291. ქრ. შარაშიძისეული აღწერილობა ემთხვევა ჩვენსას. იხ. დასახ. ნაშრომი გვ. 185.

თუთასათჳს, სალხინებელად სულისა ჩემისა და მეულლისა ჩემისა, ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანისა, ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად“ – წინა [3] გვ.

ტექსტი:

საქმე მოციქულთა – ა-ოზ (1-77) გვ.
ეპისტოლე ჰრომაელთა მიმართ – ოთ-რთ (79-109) გვ.
ეპისტოლე პავლე მოციქულისა კორინთელთა მიმართ, პირველი – რი-რლწ (110-138) გვ.
ეპისტოლე პავლე მოციქულისა კორინთელთა მიმართ, მეორე – რლთ-რნწ (139-158) გვ.
ეპისტოლე პავლე მოციქულისა გალატელთა მიმართ – რნთ-რჲთ (159-169) გვ.
ეპისტოლე პავლე მოციქულისა ეფესელთა მიმართ – რო-როთ (170-179) გვ.
ეპისტოლე პავლე მოციქულისა ფილიპელთა მიმართ – რპ-რპზ (180-187) გვ.
ეპისტოლე პავლე მოციქულისა კოლაელთა მიმართ – რპზ-რჟგ (187-193) გვ.
ეპისტოლე პავლე მოციქულისა თესალონიკელთა მიმართ, პირველი – რჟდ-ს (194-200) გვ.
ეპისტოლე პავლე მოციქულისა თესალონიკელთა მიმართ, მეორე – სა-სდ (201-204) გვ.
პავლე მოციქულის წიგნი ტიმოთეს მიმართ, პირველი – სე-სიბ (205-212) გვ.
პავლე მოციქულის წიგნი ტიმოთეს მიმართ, მეორე – სიგ-სიწ (213-218) გვ.
პავლე მოციქულის წიგნი ტიტეს მიმართ – სით-სკბ (219-222) გვ.
ეპისტოლე პავლე მოციქულისა ფილიმონის მიმართ – სკგ-სკდ (223-224) გვ.
ეპისტოლე პავლე მოციქულისა ებრაელთა მიმართ – სკე-სმწ (225-248) გვ.
კათოლიკე ეპისტოლე იაკობ მოციქულისა – სნ-სნწ (250-258) გვ.
კათოლიკე ეპისტოლე პეტრე მოციქულისა, პირველი – სჲ-სჲწ (260-268) გვ.
კათოლიკე ეპისტოლე პეტრე მოციქულისა, მეორე – სჲთ-სოდ (269-274) გვ.
კათოლიკე ეპისტოლე იოანე მოციქულისა, პირველი – სოვ-სპგ (276-283) გვ.
კათოლიკე ეპისტოლე იოანე მოციქულისა, მეორე – სპდ-სპე (284-285) გვ.
კათოლიკე ეპისტოლე იოანე მოციქულისა, მესამე – სპე-სპვ (285-286) გვ.
კათოლიკე ეპისტოლე იოდა მოციქულისა – სპთ-სყ (289-290) გვ.
გამოცხადება იოანესი – სყბ-ტკთ (292-329) გვ.

საძიებელნი წმიდისა სამოციქულოსი:

კვირიაკეთა – ტლ-ტობ (330-372) გვ.
თვეთა – ტოგ-უკ (373-420) გვ.
სამოციქულონი მიცვალებულთანი – უკ-უკა. (420-421) გვ.
საძიებელი მოწმობა – უკგ-ულვ (423-436) გვ.
ნულა და ქართული რიცხვი თან ჩართული – ულვ (436) გვ. მის ქვეშ: „კელითა მიხაილ მესტამბე უნგროვლახელისათა“.[27]

27. ქრ. შარაშიძის მტკიცებით, ეს ტაბულა არაბული რიცხვებითა და შესატყვისი ქართული ასოებით, სულხან-საბა ორბელიანის შედგენილია; მინაწერი მის ქვეშ მბეჭდავზე მიუთითებს და არა ავტორზე. იხ. მისი დასახ. ნაშრომი გვ.135.

გამართვა შეცთომილთა სამოციქულოთა – ულზ-უმა (437-441) გვ.

რედაქტორის ნიკოლოზ ორბელიანის ბოლოსიტყვაობა – „ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული კეთილმორწმუნის მეფის არჩილისა და სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე ბატონის ლევანისა, ღმთისმოყვარე, განათლებული ვახტანგ, იგულისმოდგინა და მოიღო სტამბა ვლახეთით, რომელ არიდეს ყოფილიყო საქართველოში და კელით წერაში ჩვენი სამღთონი წერილნი განრყვნილიყო და მე, დედის ძმისწულსა ამა მეფეთასა და მოსამართლეთუხუცის ორბელის ძეს, ცოდვილს მღდელ-მონაზონს ნიკოლოზს, მიბრძანა წიგნების გასწორება და ვერ ურჩ ვექმენ და ეს წმიდა სამოციქულო და იოანეს მოხილვა დიდის ჭირითა ბერძენთა ბეჭდის სამოციქულოთა შემოწმებითა, სიტყვა და ასო მეტ-ნაკლები გავმართე და ეს საძიებელი, არც ერთს ენაში არ იყო, სიაღვილისა და აღრე პოვნისათჳს ახლა მე გავაკეთე და თუ გულისჴმაჲყოფთ, დიაღ აღვილია და ამის სწავლება საძიებლის თავს არის, იქ ეძიე. ვინც ჩემნი ნაშრომი წიგნები ნახოთ, ღმთის სიყვარულისათჳს, შენდობას მიბრძანებდეთ. მე დიდად შემეწევის და თქვენ უზრუნველ იქნებით“ – უკა (421) გვ. იქვე:

მესტამბეთა შენიშვნა – „დაიბეჭდა ქალაქსა ტფილისისასა. კელითა მესტამბე მიხაილ სტეფანე შვილისა უნგროვლახელისა. ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და ცხრასა“ – უკა (421) გვ.[28]

ვახტანგის პორტრეტი – უკბ (422) გვ. იგივე, რაც 1709 წლის სახარებაში.

გაფორმება – გრავიურები:

1. სულიწმიდის მოფენა,[29] წარწერები: ზემოთ – „სულის წმიდის მოსვლა“; ქვემოთ – „ქრისტე, სულო წმიდაო და სახიერო, მეოხ ეყავ ბატონიშვილს ვახტანგს“; გრავიურის ქვეშ „რაჟამს იგი გარდამოჴდა და ენანი შეურივნა, მიმოდაყუნა მაღალმან ნათესავნი, ხოლო აწ, რაჟამს ცეცხლისა ენანი განუყვნა, ერთბამად მოიყვანნა იგინი. ამისთვისცა ერთობით ვაღიდებდეთ სულსა ყოვლად წმიდასა, თანა სწორსა მამისა და ძისა“ – წინა [4] გვ.

2. პავლე მოციქული. წარწერები: ზემოთ – „პავლე“, ქვემოთ – „პავლე მოციქულო, მეოხ ეყავ ბატონიშვილს, ვახტანგს“, მარჯვნივ – „კელითა ჩემ ცოდვილი მთავარდიაკონი მარკოზისათა, ქორონიკონსა ჩღ[ტ]“,[30] გარშემოწერილობა – „მოციქულო, წმიდაო პავლე, ეეღრე ქრისტესა ღმერთსა, რათა ცოდვათა შენდობა მოგვანიჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა“ – ოჩ (78) გვ.

---

28. ქრ. შარაშიძე შენიშნავს, რომ ”სამოციქულოს“ ზოგი ეგზემპლარი მართლაც მთავრდება ამ ფურცლით. იხ. დასახ. ნაშრომი გვ. 133.

29. იხ. დანართი I, N9

30. გრავიურაზე თარიღის ბოლო ციფრი მკაფიოდ არ ჩანს. შ. კვასხვაძისეულ წაკითხვას „1708“ არ იზიარებს ქრ. შარაშიძე. იხ. მისი დასახ. ნაშრომი გვ. 106; იხ. დანართი I, N10

3. იაკობ მოციქული, წარწერები: ზემოთ – „იაკობ“; ქვემოთ – „იაკობ, ძმაო უფლისა, მეოხ ეყავ ბატონიშვილს, ვახტანგს“, გარშემოწერილობა – „მოციქულო, წმიდაო იაკობ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რათა ცოდვათა შენდობა მოგვანიჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა“ – სმთ (249) გვ.

4. პეტრე მოციქული, წარწერები: ზემოთ – „პეტრე“; ქვემოთ – „პეტრე მოციქულო, მეოხ ეყავ ბატონიშვილს ვახტანგს“. გარშემოწერილობა – „მოციქულო, წმიდაო პეტრე, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რათა ცოდვათა შენდობა მოგვანიჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა“ – სნთ (259) გვ.

